საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ალფაიძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	14	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები	14	20
პროფესიული თვისებები	12	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	70	100

ლევან ნემსაძე

თარიღი: 26.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან ნემსაძე

2024 წლის 26 აპრილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **თამარ ალფაიძის**

შეფასების დასაბუთება

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა თამარ ალფაიძე. ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ რომელსაც გავეცანი. 2024 წლის 27 მარტს ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის" 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი თამარ ალფაიძე, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შეევაფასე - ,,კანონის" 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

კანდიდატი - თამარ ალფაიძე 44 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის დოქტორი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 24 წელზე მეტია, კერძოდ:

- 2000-2005 წლებში იყო სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის ლაბორანტი (თსუ);

- 2005-2007 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი კავკასიის უნივერსიტეტში, ასევე - მაგისტრატურის დეპარტამენტის უფროსი;

- 2006-2009 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი საქართველოს უნივერსიტეტში;

- 2009-2015 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში;

- 2016-2023 წლებში იყო პროფესორი საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში;

- 2023 წლიდან დღემდე არის კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი;

- 2022 წლიდან დღემდე არის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მასწავლებელი თსუ-ში.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები თამარ ალფაიძეს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მათ შორის, არის ცნობა მისი პოლიტიკური საქმიანობის, ასევე -ცესკოს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის, სემეკის, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატობის შესახებ. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი, შემომწირველი. 2019 წლის შუალედურ არჩევნებში იყო მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი.

თამარ ალფაიძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. საკუთრებაში აქვს მიწის ნაკვეთი 2849 მ², მდებარე ვანის რაიონის სოფელი ფერეთაში. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია, თუმცა - სტატუსი შეჩერებულია.

ბოლო სამი წლის განმავლობაში იგი 15 შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა) ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად. ასევე - 7 შემთხვევაში

დაჯარიმებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად.

კანდიდატი მხარედ მონაწილეობდა ორ დასრულებულ სამოქალაქო კატეგორიის საქმეში. კერძოდ:

1) მოსარჩელე იყო სს „ბანკი რესპუბლიკა", მოპასუხე - თამარ ალფაიძე, დავის საგანი: ხელშეკრულების შეწყვეტა; ფულადი ვალდებულების შესრულება, თბილისის საქალაქო სასამართლო;

2) მოსარჩელე იყო სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო", მოპასუხე - თამარ ალფაიძე, დავის საგანი: ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად ფულადი თანხის დაკისრება; თბილისის საქალაქო სასამართლო.

ასევე - კანდიდატი დაზარალებულად იყო ცნობილი სისხლის სამართლის ერთ საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით. მითითებულ საქმეზე ერთი პირის მიმართ გამოტანილია განაჩენი.

თამარ ალფაიძემ წარმოადგინა გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში გამოქვეყნებული შემდეგი სტატიები:

- „მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება";

- „სამართლისა და მორალის ევოლუცია";

- „ჰუმანური სამართალი";

- „ინტერნეტი და მისი სამართლებრივი რეგულირება".

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში (მაგ: "ადამიანის საერთაშორისო უფლებები"; The Universite Catholique de Louvain; JUSTICE - ჰარვარდის უნივერსიტეტი, ტრენინგი და ა.შ.).

კანდიდატს არ აქვს ჩაბარებული მოსამართლეობის ან პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა, არც ადვოკატთა ტესტირება აქვს გავლილი.

იგი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

თამარ ალფაიძეს საკუთარი ავტორობითა და თანაავტორობით, გამოქვეყნებული აქვს სამართლებრივი სტატიები:

- „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები"; თსუ, 2006;

- „მედია სამართალი"; 2008 (წარდგენილია საქართველოს პრეზიდენტთან, ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად);

- „შესავალი სამართალმცოდნეობაში"; 2009;

- „სამართალმცოდნეობის შესავალი"; 2015 (წარდგენილია საქართველოს პრეზიდენტთან, ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად);

- რეფერირებად ჟურნალში: სამართლებრივი სტატიები „სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებული გაჭიანურება", ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2019წ, №-3 ნომერი.

- ფლობს ინგლისურ, ესპანურ და რუსულ ენებს.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

სამი წლის განმავლობაში კანდიდატს აქვს ჩადენილი 22 სამართალდარღვევა, თუმცა ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - ,,პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი" ბევრ სხვა კომპონენტსაც მოიცავს, როგორიცაა: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულება და ა.შ. კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მივიჩნიე, რომ თამარ ალფაიძე აკმაყოფილებს ,,პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.

კანდიდატი არის პრინციპული, შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები, აქვს პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა, რის გამოც მივიჩნიე, რომ იგი აკმაყოფილებს ,,დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.

კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, არის თავდაჭერილი. ამიტომ, დავრწმუნდი, რომ ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო და ადექვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ იგი აკმაყოფილებს ,,პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.

კანდიდატს აქვს საქმიანი, მჭიდრო ურთიერთობები იურიდიულ წრეებში; სარგებლობს კარგი რეპუტაციით. ამ დასკვნის გამაქარწყლებელი საპირისპირო, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური

ინფორმაცია ჩემთვის უცნობია. ამიტომ მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს.

საბოლოო ჯამში კანდიდატი ჩემი შეფასებით კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს აკმაყოფილებს, ამიტომ „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის" 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

საჯარო მოსმენისას მას „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს" წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები სამართლის სხვადასხვა დარგიდან. თამარ ალფაიძის პასუხები იყო ძალიან ზოგადი, არ იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული; გარდა ამისა, მან დაუშვა გარკვეული შეცდომები სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. აღწერილი შეცდომებისა და ხარვეზების გათვალისწინებით, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი იცნობს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობას, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. შესაბამისად იგი „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით შევაფასე -14 ქულით.

კანდიდატს არ გააჩნია არც მოსამართლედ და არც სასამართლო სისტემაში მუშაობის რაიმე გამოცდილება. მისი გამოცდილება ძირითადად აკადემიური საქმიანობის სფეროში მუშაობით შემოიფარგლება. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სტატიების შეფასების საფუძველზე მიმაჩნია, რომ „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს -18 ქულით.

კანდიდატი ძირითადად გამართულად მეტყველებს, აზრს ძირითადად ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს ლოგიკურად. აქვს სხვისი აზრის მოსმენის უნარი. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დავადგინე, რომ ზოგჯერ სათანადოდ არ იყენებს სასვენ ნიშნებს, ასევე - ხშირადაა გამოყენებული რთული წინადადებები, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას გარკვეულწილად აფერხებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს -14 ქულით.

კანდიდატი შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. როგორც ზემოთ აღინიშნა, თამარ ალფაიძეს არ აქვს მოსამართლედ ან სასამართლო სისტემაში მუშაობის რაიმე გამოცდილება. შესაბამისად მიჭირს

დავასკვნა, რომ მას აქვს სათანადო მენეჯერული უნარები; ასევე - შეძლებს თუ არა იმუშაოს სტრესულ სიტუაციაში და გაუმკლავდეს ისეთ გამოწვევებსა და სირთულეებს, რაც დამახასიათებელია მოსამართლის საქმიანობისათვის. შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ,,პროფესიული თვისებების" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს -12 ქულით.

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს; ზრუნავს თვითგანვითარებაზე. მას გააჩნია ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაზე. ამავე დროს გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კანდიდატს არ აქვს ჩაბარებული არც ერთი (მოსამართლეობის, პროკურატურის, ადვოკატის) გამოცდა. შესაბამისად ,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე -8 ქულით.

რაც შეეხება კანდიდატის პროფესიულ აქტივობებს იშვიათად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებსა და სემინარებში. მონაწილეობს სხვა სახის დისკუსიებში და ეწევა აკადემიურ საქმიანობას. შესაბამისად, ამ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე - 4 ქულით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანდიდატს კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ 70 ქულას.

ხელმოწერა

თარიღი: 26.04.2024